ეროვნული ბიბლიოთეკა

დურუჯი

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება."

ილია

№ 1, 1989 წლის 5 სექტემბერი

ყვარელი

თავისუფლება

"თავისუფლებამ სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირემის გულს
წყარო ანკარა..."

გალაკტიონი

ყოველი ერი, რომელსაც სანატრელად აქვს ქცეული თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა, რაც გინდ ლამაზი ქვეყნის პატრონი იყოს და, თუნდაც ეკონომიურადაც ცას სწვდეს აწეული, ბედნიერ ერად ვერ ჩაითვლება, რადგან თავისუფლების გარეშე ბედნიერება არ არსებობს. ცხადი მაგალითი იყო ჯუზეპე გარიბალდის თანამებრძოლი მამა გავაცი, როცა იტალიელ ხალხს მიმართა: "რომ ლამაზია იტალია მზეებით, მთებით, ზღვებით, მაგრამ ყოველივე ეს უდაბნოდ იქცევა ხალხისათვის, თუ იგი დამონებულთა ხელშია... მომეცით უდაბნო, მაგრამ ძლიერი და თავისუფალი-მე ამ უდაბნოს და ძლიერებს სამოთხედ ვაქცევ". აკი ილიაც ამბობს ქადაგებდა: "თავისუფლებავ, შენ ხარ ხალხთა ნავსაყუდარი".

თავისუფლებისათვის ლტოლვა ყოველი ცოცხალი არსის ბუნებრივი თვისებაა, ბუნება კი, ნამდვილად და შეუცვლელია. ამის გამო ნიჭი საწინააღმდეგო ჩვევები ყოველთვის მარცხით მთავრდება.

თავისუფლებისაკენ ლტოლვის ინსტიქტი ყოველ ცოცხალ არსს გენეტიკურად ჩადებული. ჩვილი ბავშვი ფეხს რომ იდგამს, თუნდ ბორძიკობს, თვით დედის მოხმარებაც არ სურს, თაკილობს, ხელს აშორებს. სურვილი აქვს სხვათა დახმარების გარეშე გაიაროს თავისი პირველი გზა.

თავისუფლებისაკენ დაუოკებელი ლტოლვა ბადებს იმ დაუძლეველ ენერგიას, რომლითაც საწადელს აღწევს ყოველი არსი. აქედან გამომდინარე, ერის თვითმყოფადობისათვის ბრძოლა და ლტოლვა ბუნებრივი მოვლენაა და არც ჯალათის პირთა კატორღების [illegible] შეუძლია ეს ლტოლვა და მისწრაფება შეაჩეროს, დააკონსერვოს, მაგრამ თავისუფლებისაკენ ლტოლვის მოსპობა შეუძლებელია. ამის მაგალითია თვით ქართველი ერის ისტორია. საუკუნეების იყო იგი დაპყრობილი და მაინც კი, როცა სულს ღაფავდა, ყელში ხანჯალგაყრილ [illegible] მიუგო: "ძალი იყოს შენი [illegible]"-ო, და მართლაც იყო [illegible] და [illegible], რომ [illegible] და [illegible] სულს თავისუფლება ისე მოსწყურდა, რომ უკვე ამბობდა, უკვე [illegible] და [illegible] ერი და ბერი. განსაკუთრებით აღვივდება სული, რომელიც გამოცდა საბჭოთა იმპერიის ათწლეულების განმავლობაში იყო დამონებული და გაწამებული. რამდენადაც ყოველ ხალხს, ყოველ ერს აქვს თავისი ისტორია, ენა, ტრადიციული ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და ფსიქოლოგია, მაგრამ საერთო ის არის, რომ ყოველი ერი დიდიც და პატარაც [illegible] დამოუკიდებელი იმპერიის ქვეშაა მოქცეული. საერთო ის, რომ ყველას სურს თავი იცნობოს და თავის თავს თვითონ უპატრონოს. ეს მისასალმებელი მისწრაფებაა, ანუ ღრმა მნიშვნელობა, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავისუფლება არის ხალხთა ნავსაყუდარი.

საერთო ისიცაა, რომ ყველას ნებსით თუ უნებლიეთ ექსპანსიონიზმის სენი შეეყარა და ერთმანეთ თანაარსებობის ნაცვლად ხელს ვუშლით ერთმანეთს. რადგან არ გვესმის წინაპრის ნაანდერძევის შეგონება, რომ ცალ წნელზე ღობე არ დაიწნება. ვერც ერთი ერი, თუნდაც ძლიერი და რიცხობრივად მეტი, ვერ იქნება სხვა ხალხებთან ურთიერთობისა და კეთილმეზობლობის გარეშე. ჩვენთვის ყველაზე მისაღებია საბჭოთა იმპერიაში შემავალი ერები, რომლებიც იბრძვიან და იღწვიან თვითმყოფადობისაკენ, რადგან ცდილობენ თავიანთ ბედში მყოფ ხალხებთან კონფრონტაციას არ ერიდოს, როცა ეს პირიქით უნდა ხდებოდეს. მე ასე მეჩვენება, რომ ყველას სადღაც ფეხი გვაქვს არეული და ამ საინტერესო გზაზე გამოსვლისას ერთმანეთს მხარდამხარ კი არ მივდევთ, როგორც ეს ერთი ბედისა და ერთი მიზნისაკენ მიმავალ ხალხს შეშვენის, პირიქით ერთმანეთს ფეხს ვუდებთ და ერთმანეთს ფეხს ვადგამთ ქუსლებზე.

საბჭოთა იმპერიაში შემავალ ერთა შორის მე ვერ ვხედავ პატრიოტსა და შოვინისტურ გამოყოფილ ერს. მე ასე მეჩვენება, რომ თვით რუსი ხალხი, რომლის სიმრავლით და რიცხობრივი უპირატესობის იყენებს საბჭოთა იმპერია, არაა მთლად პრივილეგირებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყანა, რომელიც ბოროტების იმპერიად მოინათლა და მსოფლიო ხალხები ანტიპატიურად განაწყო მეზობლებთან, თუ უნებურად ეს სიძულვილი რუს ხალხზე ლოკალიზდება, რადგან საბჭოთა იმპერია სინონიმად იქცა რუსეთის იმპერიისა. არა და თავისი მიზნის მოყვარეობით, გულწრფელობით, უბრალოებით რუსი ხალხი გარკვეულ პატივისცემას იმსახურებს. ყოველი ერი მის დიდებულ შვილთა სულიერი საუნჯით უნდა ფასდებოდეს. და თუ ესეა პატიოსანმა კაცმა თავს ნება არ უნდა მისცეს დოსტოევსკის, პუშკინის, ტოლსტოის დამბადებელი ერისადმი ანტიპატიურად განეწყოს და რუსი მოძალადეების ცოდვა მთლიან ერს დააბრალოს.

აქედან გამომდინარე საბჭოთა იმპერიის ქვეშ მოქცეული ერი ერთნაირად შეჭირვებულია. ამ ერთობამ უნდა გააერთიანოს ყოველი ერის მოწინავე ძალები. ამ ძალებმა უნდა მოსპონ საიდუმლოების ხელში [illegible] და [illegible] უნდა იქნეს ისეთი მოქალაქის შექმნა, როცა არც დიდი და არც პატარა [illegible] ყველას თავისი [illegible] სულმნათი აკაკი ბრძანებდა: "ყველას თავისი სამშობლო ექნება ხალხად და დანარჩენი ქვეყანა კი სახლად იქნება".

ქართველებს კი დამატებითი საწუხარი ახლა ისაა გვაქვს, რომ ჩვენი მოწინავე ინტელექტუალური ძალები, ვიდრე სხვა ერთა მოწინავე ძალებთან საერთო ენას გამონახავენ, აუცილებელია თვით საქართველოში წარმოშობილი სხვადასხვა მიმდინარეობებისა და გაერთიანებების კონსოლიდაცია. ამის გარეშე საქართველო ვერასოდეს მიაღწევს იმ თავისუფლების ნავსაყუდარს, რომელზეც დიდი ილია ოცნებობდა.

ილო ბეროშვილი

გზა დაელოცოს

გამოიღვიძა ქართულმა სულმა, ეროვნული თვითგამორკვევისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვამ დიდმა. გვიან და ახალ ფეხადგმულის გაჭირვებით, მაგრამ მაინც ჯიუტად და გაბედულად გადადგა პირველი ნაბიჯები.

ჯერ კიდევ გუშინ ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ენერგია მთელ საუკუნეების მანძილზე იჩაგრებოდა და მიძინებული ეროვნული გრძნობის ფონზე მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩანდა ხვალინდელი დღის პერსპექტივა. თვალს ახარებდა ბედნიერებისა და სამოთხის ცხოვრების მოწყობილი სურათი. მაგრამ ქვეყანაში მომწიფდა პროცესები, წელსაც 9 აპრილის ტრაგედიამ გაფანტა ვარდისფერი ნისლი და გამოჩნდა, თუ რა ტიტანური ძალისხმევა ყოფილა საჭირო, რომ გადავარჩინოთ დღემდე [illegible] საქართველოს კულტურა, ენა, თვითმყოფადობა და საერთოდ მისი ფიზიკური არსებობა ამ ქარტეხილებით აღსავსე ნარეკლიან გზაზე.

"ჩვენ ერს,-წერდა ილია ჭავჭავაძე,-ორი ათასი წელი მაინც უცხოვრია ისტორიული ცხოვრებით, ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩადებულა იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამის საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რაც და რითი შეგვარჩენდა ხარისხით უცხო თემთა ამ ბრძოლისაგან შემოკლული ნაწილებსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით-რა ჩამოგვაცილებდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებს, აწ განათლებასა, აწ გამდიდრებაში, თუ ამას წინ ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიაში. რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელია სიმჩატე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ერთხელ ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, ჩვენ დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავე და თუ ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი."

წარსულის შეცდომებს დღეს ხელაღებულად ვიცნობთ, მაგრამ ვაი, რომ დღესაც მერყეობა ხვალინდელი ცხოვრების საძირკველში "უვარგისი ფხვნილი ქვის" ჩამდები არაკაცი, საკუთარი ქვეყნის ისტორიის არ მცოდნე და უცხო კულტურის მონად მოქცეული-მოღალატეები, უგული და წამხდარი აზრების მქონე, მათი წახდენა და ახალი "ეგზერსისების" მოტანა არ დაგვშორდება, ჩვენ ხომ მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით, სამწუხაროდ!

ნაკლს დამალვა და ნაჭრელობა არ შველის, ნას საჭიროდ მხილება და მკურნალობა უნდა. ილიას თქმისა არ იყოს:

"ჩემზედ ამბობენ ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია! / ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს ამ სიძულვილში რამდენი სიყვარულია!" ამ მოთქმას ამ მრწამსით პრინციპებით ამოქმედება [illegible] რომ ამ ახალს [illegible] არ შეუშინდეს და დაუფიქრებელი არ წამოაყენოს. ხშირად ახალი სულით და ამ მიზნით შეიქმნა ჩვენი ყვარელში ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ილიას კარ-მიდამოში იდგა ფეხი და ამიტომაც მისი საკადრისი საქმის მოწყობი უნდა იყოს. ჩვენი საზოგადოების გაწევრიანებისა და ყოველი წევრის მიზანი საკუთარი [illegible] და გარკვეულია, მართლაც, [illegible] [illegible] ქართველის ღირსეულ გასაფრთხილებლად მაინც [illegible]. ამასვე უნდა ემსახუროს ჩვენი ბეჭდვითი ორგანო. ყოველ პარასკევს დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ [illegible] ტერიტორიაზე ჩვენს საზოგადოებასთან შეხვედრისა, სადაც შესაძლებლობა მიეცემათ კოლეგებთან ერთად მოგვცენ რჩევაც, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხის თაობაზე, მოგვაწოდონ წერილები გაზეთისათვის და საკუთარი წვლილი შეიტანონ ჩვენი მუშაობის მიმდინარეობაში.

"დურუჯის" შემდგომი განვითარება ბევრად დამოკიდებული პატივცემულ მკითხველზე. წინ ჯერ-ჯერობით ნათელი ოცნებები და გეგმებია, დაე გაიაროს ამ გზაზე დიდი ბერმუხის პატარა ნერგმა და პირუთვნელად ჩადგეს სიმართლის სამსახურში!!!

ლია გიგიტაშვილი

გზა ბრძოლისა თავისუფლებისაკენ

საქართველო კვლავ იკრიბება ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ. ეს ის დროშაა, რომელიც თავის დროზე დიდმა ილიამ გვიბოძა, რომელსაც მოწინავეთა ცაზე მზის ვარსკვლავსავით გაისმა მისი ოხვრა, მაგრამ მწუხარე ხმა საქართველოს დაკარგული უფლებების აღდგენის, მისი ეროვნული ტრადიციების შესახებ, ხმა, რომელიც პირველი [illegible] ალუდა ქეთელაურის სიკვდილით დასჯას, ხმა, რომელმაც გამოაღვიძა და გამოაფხიზლა ქართველი კაცი.

ამ ხმას მოჰყვებით ჩვენ დღეს. დიდი ხნის მანძილზე გაბნეული წყვდიადი გზას უხსნის ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლოზუნგს. ისე ეწვევა ქვეყნის რევოლუციურ გარდაქმნას, როგორც ამას ქართველი პოეტი ამბობდა: "მაშ დამიბრუნე, რაც მე მეკუთვნის, დამიბრუნე თავისუფალი თავისუფლება, დამიბრუნე ნაწილი ნაწილის ბედნიერება, დამიბრუნე საქართველო და მაშინ, მხოლოდ მაშინ გიცნობ". მაგრამ ეყოფა კი ე.წ. გარდაქმნას რევოლუციური საგზალი? მოგვცეს ის, რაც ჩვენ მემკვიდრეობით გვეკუთვნის?

ხანამ კი საქართველო უფსკრულის პირზე იდგმება, რომლის წინაშე, როგორც ბრძენი გრიგოლ რობაქიძე ამბობს: "ქართველი კაცი ლომად იქცევა, უფსკრული მას შეუპოვრად ამოხსნებს, ძალას უმატებს", მაგრამ ჩვენ დღეს უფლება არ გვაქვს სასწორზე დავდოთ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, ემოციებს და უმწიფარ გადაწყვეტილებებს უფსკრულში გადაჩეხვა შეუძლია მოჰყვეს.

"რუსეთის რევოლუცია! ქართველებო, შეგნებულად, შეერთებულად, დინჯად!", 1917 წელს ასე მოუწოდებდა ერს გაზეთი "საქართველო". მაშინ ამ მოწოდებამ თავისი ნაყოფი გამოიღო, მართალია მცირე ხნით, მაგრამ ქართველი ხალხის თავისუფალმა სულმა მაინც იგემა განთავისუფლება და დღეს ამ მოწოდებას უფრო მეტი ცხოველმყოფელური მნიშვნელობა ენიჭება. როცა თვალს ვავლებთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიას, ვრწმუნდებით, რომ ქვეყანაში დღევანდელ ვითარებას არა ერთი ანალოგია მოეპოვება წარსულში. 1917 წლის საქართველოს პრობლემები გარკვეულ ასპექტში საოცრად გავს დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას. "საქართველოს [illegible] დღესაც ბევრი აბეზარია ისინი, რომლებიც სიტყვით საზოგადოების გარდაქმნას მოითხოვენ, ხოლო თვითონ არაფერს აკეთებენ ამის მისაღწევად"-გაზეთი "საქართველო", 1917 წლის 17 თებერვალი. არ ვიცი რამდენად მოესადაგება მოტანილი ციტატა ამ აზრს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ქართველებს შორის ფეხმოკიდებული ცრუპატრიოტიზმი, მიტინგებზე, შეკრებებზე და დიალოგებზე უმწიფარი აზრებით გამოსვლა აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს საერთო ეროვნულ მოძრაობას.

დიახ, ბრძოლა უნდა წარიმართოს ცივი გაანგარიშებით, ჭკვიანურად, პოლიტიკური დიალოგებისათვის გულმოდგინე მზადებით. მებრძოლს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მას ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელსაც არგუმენტებთან ერთად ზურგს უმაგრებს გარდაქმნის სამოსელში გახვეული ოფიციოზი. ყვარელში ამ ბოლო დროს ჩასატარებელი მიტინგები, შეკრებები, დიალოგები /რამდენიმე გამოკლებით/ სრულიადაც ვერ პასუხობს ამ მოთხოვნებს და ხალხი ხშირად მათ დამთავრებამდე ტოვებს. გაზეთი "დურუჯი" უნდა იყოს პოლემიკის, ჯანსაღი დიალოგის ნამდვილი სარბიელი. პოლიტიკური დიალოგის ნამდვილი ტონის დაცვით, სრულიად უცხო იქნება საეჭვო კონიუნქტურული წინადადებები და მათი პატრიოტულ სამოსელში გახვევა, ლოკალური პრობლემების სწორი ინტერპრეტაციით ხელს შეუწყობს, თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ეროვნული მოძრაობის გამარჯვებით დამთავრებაში. გაზეთის განვითარების გზაზე წინ წარუძღვება ილიას მადლი და სიბრძნე.

ისაკ კურტანიძე

რას წარმოადგენს ყვარლის რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია

არავისთვის დასამალ- დასაფარავი არ წარმოადგენს, რომ საქართველოს რაიონებში და ქალაქებში ძალიან მწვავედ დგას ახალგაზრდობის პრობლემა. არც მხოლოდ გამონაკლისს არც ყვარლის რაიონი წარმოადგენს. სსრკ-ში და ამ შემთხვევაში საქართველოშიც ერთად-ერთ ძირითად ოფიციალურ ახალგაზრდულ ორგანიზაციას კომკავშირი წარმოადგენს. აქედან გამომდინარე იგი უნდა იყოს მთავარი ყველა ახალგაზრდული წამოწყებისა: პატრიოტული იქნება ეს, ეროვნული თუ სოციალური; მაგრამ ამ მიმართულებით კომკავშირი არაფერს არ აკეთებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კომკავშირის ყვარლის რაიკომი, რადგან სხვა რაიონებში კომკავშირის მუშაობის საქმეს ჩვენ კარგად არ ვიცნობთ/და არც გვგონია იქ თავს იკლავდნენ ერის სამსახურში/. ყვარლელმა ახალგაზრდობამ არაფერი არ იცის, თუ რას აკეთებს კომკავშირი და საერთოდ რისთვის არსებობს. მისი საქმიანობა ბნელით არის მოცული. ჩვენთვის გაუგებარი რჩება რა თუ რისთვის სხედან კომკავშირის რაიკომში მისი "ლიდერები" და რისთვის იღებენ ჯამაგირს და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ ერთხელ მაინც არ შეხვდებიან კომკავშირის ყვარლის რაიკომის წარმომადგენლები ახალგაზრდებს და არ მოისმენენ მათ აზრს, მათ გულისტკივილს?

აქედან გამომდინარე ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოითხოვს: კომკავშირის ყვარლის რაიკომის წარმომადგენლები შეხვდნენ ჩვენს ახალგაზრდობას და ანგარიში ჩააბარონ თავიანთი საქმიანობის შესახებ. კერძოდ რა გააკეთეს მათ, დავუშვათ, ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდობის პატრიოტული გრძნობების ასამაღლებლად, მათი სოციალური და ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. დაე თვითონ ახალგაზრდობამ შეაფასოს მათი საქმიანობა და თუ მას არა დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, შეიცვალოს კომკავშირის რაიკომის მთელი შემადგენლობა ან, რაც უფრო სამართლიანია, საერთოდ გაუქმდეს როგორც ყოვლად უსარგებლო ორგანიზაცია.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა

ძალზე დასანანია, ის გარემოება, რომ ყვარლელების მნიშვნელოვანი ნაწილი ძველებურად ცხოვრობს და მათთვის არაფერი არ შეცვლილა. თავიანთი ულმობელობით, უგერგილობით, [illegible] კვლავ ანგარებითი მიზნებისათვის გამოყენებით, ხშირ შემთხვევაში- ეროვნული მოძრაობისაგან განზე დგომით, ზოგიერთი კი პირიქით-ყველაფერში ჩახედული ნიღბით [illegible], დილეტანტური შეფასებებით და ჭორების გავრცელებით ისინი თიშავენ, აღიზიანებენ ხალხს, ძაბავენ სიტუაციას, ეჭვის ქვეშ აყენებენ ეროვნული მოძრაობის იმ ძირითად მიმართულებებსა და ძალებს, რომლებმაც ეროვნული მოძრაობა საქართველოში ასეთ სიმაღლეზე აიყვანეს და რომელთაც ერი ჭეშმარიტად სწორი, ბრძოლიანი გზით თავისუფლებისაკენ მიჰყავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს

ყვარელი-კახეთის ერთ-ერთი უალამაზესი კუთხე, მისი ბუნება, [illegible] მღელვარება, [illegible] ჰაერი, ხეობები და [illegible] ტყეები, თვალში საცემი სიმწვანე [illegible] ჩვენს მხარეში მოსვენებულ ადამიანს.

მაგრამ სამწუხაროდ და საუბედუროდ ეს ყველაფერი პირველადი, ერთი შეხედვით წარმოქმნილი შთაბეჭდილებაა. ზოგჯერ სიამაყით ვიწონებთ, რომ ჩვენ დავდივართ იმ მიწაზე, რომელზედაც ილიას აიდგა ფეხი, ვსუნთქავთ იმ ჰაერით, რომლითაც ჩვენი სულიერი მამა სუნთქავდა და ვსვამთ იმ წყალს, რომლითაც იგი იკლავდა წყურვილს.

აბა დავფიქრდეთ, ეს ის მიწა, ის წყალი და ის ჰაერია?

არა და არა.

ყვარლის ბუნება არაერთხელ გამხდარა ილია ჭავჭავაძის შთაგონების წყარო. საინტერესოა, რას იტყოდა თვითონ დიდი ილია ახლა, რომ წამოდგეს და ნახოს დაღუპვის კარამდე მისული ჩვენი ლანდშაფტი.

ვერც საქართველომ გადაურჩა ეკოლოგიურ კრიზისს. სასტიკადაა დარღვეული რელიეფის, ჰავის, ნიადაგის, მცენარეულობის, ცხოველების ჰარმონიული შეხამება. "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", ნეტავ გვეყუდნებოდა, მაშინ ხომ თვითონვე განვსაზღვრავდით, რა გვეშენებინა და სად გვეშენებინა, რა დაგვენგრია, რა მოგვეჭრა, რომელი მდინარე დაგვეგუბებინა და ა.შ., მაშინ ხომ ასე არ დავაბინძურებდით წყალს, მიწას, ჰაერს.

დედა ბუნება საფრთხეშია!!!

საფრთხეშია და ამ საფრთხის შექმნაში ბრალი მიუძღვის არა საერთოდ ქართველ ადამიანს, არამედ მისი საქმიანობის დამორჩილებას ანგარების, გამდიდრების ან ვიწრო პრაქტიციზმის ინტერესებისადმი, არაშორსმჭვრეტელობას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მარიონეტული მთავრობისა და ხელისუფლების უნიათობას, გულგრილობას, უმოქმედობას.

უკანასკნელ პერიოდში ადგილი აქვს ეკოლოგიური ბალანსის წინასწარ განზრახულ და აშკარად დივერსიულ დარღვევას, [illegible] ეკოლოგიური კატასტროფისა, ისეთი მძლავრი ენერგეტიკული ნაგებობები, როგორიცაა ენგურჰესი და ჟინვალჰესი, განსაკუთრებით სახიფათოა საქართველოსთვის, რადგან ერს სრულ [illegible] უცხადებს აგრესორს. სავსებით მოსალოდნელია ეს ნაგებობები მოსკოვმა დივერსიისთვის გამოიყენოს, რასაც უდავოდ კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

ტრანსკავკასიის რკინიგზის, ხუდონჰესისა და ილტოს წყალსაცავის მშენებლობების შეჩერება თავისთავად დიდი გამარჯვებაა ჩვენთვის, მაგრამ თუ არ ვიმოქმედეთ, სულ მალე საქართველო და ჩვენი მშობლიური ყვარელიც ეკოლოგიური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

რთული მდგომარეობაა ყვარელში.

იჩეხება მდინარეების: ბურსის, ჩაგურგურისა და დურუჯის ხეობების მიდებარე ტყეები. ნაგავსაყრელადაა ქცეული დურუჯის, ბურსის, ინწობის, ჩელთის, ჩაგურგურას ხეობები, ყაზიანისა და ყორიანის ტყეები. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ბურსის ხეობაში. ეს მდინარე ოდითგანვე თევზით ყოფილა მდიდარი და გარდა იმისა, რომ ზოგ-ზოგების მუცელღმერთობისა და მავანთა წაქეზებისა გამო ნაირ-ნაირი ქიმიური თუ ფიზიკური საშუალებებით ხდება თევზჭერა, ხდება ხეობის დაბინძურება და წაბილწვა ათასგვარი სისაძაგლით. ბურსის პირებზე არსებული სალორეებიდან გამომავალი ნეხვი პირდაპირ გზით ხვდება მდინარეში, მდინარეში ჩაედინება აგრეთვე მის ნაპირებზე განლაგებული საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან გამომავალი დაბინძურებული წყლებიც და თუ თევზებს პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული, საინტერესოა ბუნების დაცვის კომიტეტისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს რადამ ჩაუგუბათ წყალი?! და კიდევ რა უნდა ახლად ამოყრილმა ქორფა ნეკერმა, რომელიც მთარეში საქონლის მსხვერპლი ხდება? ტყე აღარ ახლდება, სწორი და ახოვანი ხეები ან იჭრება, ან მოიჭრა. ჩვენი ტყეები ნელ-ნელა ემსგავსებიან სოფელს, რომელშიც მხოლოდ მოხუცებიღა დარჩენილან. ყველაზე დამღუპველია ტყის საწარმოო ჭრა, პარკეტის დასამზადებელი ქარხნის ნედლეულით მომარაგების მიზნით. ჩვენ ყვარლის ტყეებს შევინარჩუნებთ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ გამოვაცხადებთ ეროვნულ პარკად. დაყოვნება არ შეიძლება. სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან.

ჩვენს მთებში კვლავ გრძელდება სხვა და სხვა რაიონიდან საგარეკოდ მოდენილი ცხვრისა და საქონლის ძოვება ეროზია საშიშ ზონებში. რათქმა უნდა ლაგოდეხს, სიღნაღს, წითელწყაროს და სხვა რაიონებსაც ყოველთვის უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი, მაგრამ ისე, რომ ერთი საქმის გაკეთებით მეორე არ გავაფუჭოთ. და საერთოდ თუ ასე მოგვრავლდა ცხვარ-ძროხა, რომ ტყესა და ღრეში ყოველ ნაბიჯზე მოსული და ფარეხია განაშენული, რატომ არ იგრძნობა ეს ბაზრის დახლებზე? ასეთი დაწვრილმანება შორს წაგვიყვანს და [illegible] საქმეზე.

ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტების გამო ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოითხოვს:

1. დაუყოვნებლივ შეწყდეს ხეების საწარმოო ჭრა ყვარლის ტყეებში. რაიონის ხელმძღვანელობამ დასვას საკითხი საქართველოს მინისტრთა საბჭოში ყვარლის ტყეების ეროვნულ პარკად გამოცხადების თაობაზე.

აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენი საზოგადოება შემოდგომიდან თავისი ძალებით დაიწყებს ვაზიანის ტყის გაჩეხილი ფართობების განაშენიანებას. მსურველებს შეუძლიათ შემოგვიერთდნენ.

2. ყვარლის სატყეო მეურნეობამ /რადგან ტყის დაბინძურებაში ბრალი მიუძღვის უპირველესად მას/ [illegible], გაწმინდოს ტყეები ნაგვისაგან და აღარ დაუშვას მათი ხელმეორედ დანაგვიანება.

3. შეწყდეს ტყეებში შინაური ცხოველების ძოვება, მოიშალოს ტყეში აგებული ყველა ფარეხი, ბოსელი და ფარდული. დაისვას და გადაწყდეს საკითხი ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობიდან მოსახლეობისათვის საძოვარი ფართობების გამოყოფის თაობაზე. აგრეთვე ბუნების დაცვის საბჭოს წარმომადგენლებს შევახსენებთ, რომ მათი მოვალეობაა ბუნების დაცვა და თუ ეს არ ძალუძთ, მაშინ ადგილი დაუთმონ ბუნების ჭეშმარიტ ქომაგებს და მზრუნველებს.

4. მომავალი წლიდან აღარ იქნას დაშვებული მთის ეროზიასაშიშ ფერდობებზე ცხვრისა და საქონლის ძოვება.

5. დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას მდინარეების: ინწობის, ჩელთის, დურუჯის, ბურსის, ჩაგურგურას ხეობების წმენდა ნაგვისაგან. ბუნების დაცვის კომიტეტმა და კომუნალურმა განყოფილებამ დააწესონ საჯარიმო მეთვალყურეობა, რათა აღარ გაგრძელდეს აღნიშნული ხეობების წაბილწვა-დაბინძურება.

ცნობისათვის: ჩვენი საზოგადოების თაოსნობით წყალთა სასისტემო სამმართველოსთან ერთად დაწყებულია მდ. დურუჯის ხეობის წმენდა და დასუფთავება.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მდ. ბურსას /როგორც ცოცხალ მდინარეს/ და მის ხეობას. იქნებ ჩაბრძანდნენ სანეპიდსადგურის და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ხეობაში და შეისუნთქონ ის მყრალი ჰაერი, რომელიც აქ დაყრილი მძორისა და ნაგვის ლპობისაგან წარმოიქმნება, [illegible] მდინარის ნაპირებზე განლაგებული სალორეებიდან გამომავალი ნეხვი და საწარმოებიდან მოდენილი დაბინძურებული წყალი.

მდინარე ბურსა საფრთხეშია!!!

საჭიროა სასწრაფოდ გაუქმდეს ბურსის პირას არსებული ყველა სალორე და მაქსიმალურად შეწყდეს დაბინძურებული წყლების შემოდინება მდინარეში.

7. რაიონის ხელმძღვანელობამ დააყენოს საკითხი მინისტრთა საბჭოში /მოთხოვნის სახით/ ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ყველა სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარების /როგორც ყოვლად უსარგებლო, მავნე, ზიანის მომტანი და ტოქსიკური ნივთიერებებით გარემოს დამაბინძურებლების/ გაუქმების თაობაზე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილი შვიდივე მუხლის დაკმაყოფილებას.

იმედი გვაქვს ბატონი ანგი გავაშელიშვილი და ბატონი თემურ ოსეფაშვილი გამოვლენ მარიონეტული ჩარჩოებიდან და დაამტკიცებენ, რომ ისინი ჯერ ქართველები, ქართული მიწის შვილები არიან, ხოლო შემდეგ ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლები.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის სახელით
ალეკო ცუკალაშვილი

* * *

პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივნის ბატონ თემურ ოსეფაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება ტრიკოტაჟის ფაბრიკის მშრომელებთან, თითქოსდა სოფელ სანავარდოს მიდამოში მდებარე ჭაბურღილიდან ქ. ყვარლის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის [illegible] მშენებლობა მათი /ე.ი. რაიონის ხელმძღვანელობის/ შეჩერებული იყოს, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ თავისი ძალებით ჩაატარა გამოკვლევები და ერთი თვის განმავლობაში ხელმძღვანელობისაგან დაჟინებით მოითხოვდა ამ მშენებლობის შეჩერებას, რომელიც მილიონ მანეთამდე ჯდება. საქმე ისაა, რომ სოფ. სანავარდოს მიდამოში მოქმედი ჭაბურღილებიდან შეკრებილი წყალი უნდა წასულიყო ყვარლის თავში მდებარე აუზისაკენ და შემდგომ მიწოდებოდა ქალაქს.

წყალმარაგებლობის ასეთი სისტემისათვის კი საჭიროა თორმეტ კილომეტრიანი მაგისტრალური წყალსადენი, ორი აწევის სატუმბი სადგური, მუდმივი ელექტრო ენერგია, მომსახურე პერსონალი, ამორტიზაციის ხარჯები და ა.შ., რაც ისედაც გაღარიბებულ რაიონს უნდა დასწოლოდა კისერზე. ჯერ ერთი, რომ მიწისქვეშა წყლების დებეტით ძალიან მდიდარია ქალაქის როგორც ზემოთა, ისე ქვემოთა ნაწილი. განსაკუთრებით ყუთის წყაროს მიდამოები, სწორედ აქ მოედინება კავკასიონიდან გამომავალი მიწისქვეშა წყლები და იმ ორი ჭაბურღილიდანაც, რომლებიც სულ ახლახან იქნა გაშვებული, ამოედინება ანკარა ცივი, გემრიელი წყალი. მეორე, რომ ეკონომიური თვალსაზრისით უმჯობესია წყლის მიღება ქალაქის თავში და შემდგომ განაწილება აუზებიდან ყოველგვარი სხვა პროცედურის გარეშე, თუმცა ეჭვი გვეპარება, რომ ახალმა /ლია?!/ აუზმა შეძლოს წყლის დაგროვება და შეკავება. მესამე-ეკოლოგიური თვალსაზრისის გარდა, ფართობი კავკასიონის მთებიდან სანავარდოს ჭაბურღილებამდე მოიცავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სადაც მუდმივად ხდება შხამ-ქიმიკატების ფართო გამოყენება, შენახვა და არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ წყლებში ან ახლა და ან მომავალში აღმოჩნდება პესტიციდები, რაც უდავოდ გამოუსწორებელ შედეგს გამოიღებს, მით უმეტეს, რომ წარსულში იყო უკვე ასეთი შემთხვევა. იქ სულ ოთხიოდე თვის წინ ჭაბურღილებიდან აღებულ სინჯებში აღმოჩნდა პესტიციდები.

საზოგადოების თაოსნობით ცენტრალური რესპუბლიკური სანეპიდსადგურიდან მოწვეულია ექსპედიცია, რომელიც შეამოწმებს დედოფლის წყლიდან, ფატნასურიდან, ბურსიდან, ნახერის ხევიდან, ჭაბურღილებიდან და დურუჯის წყალსაცავის დრენაჟული წყლიდან აღებულ სინჯებს. აქედან სანავარდოს ბურღილი წყლებისა და დურუჯის წყალსაცავის დრენაჟული წყლები შემოწმდება [illegible] ექვსი თვის განმავლობაში. რაიონის ხელმძღვანელებთან დიალოგებისას ხშირად გვესმოდა, რომ თანხები აღნიშნული მშენებლობისათვის არ გამოიყოფოდა რაიონის ბიუჯეტიდან და რაიონს არ დააწვებოდა ტვირთად, მაგრამ რაღა ჩვენ გვყავს ამდენი გაჭირვებული, უსახლკარო, გაუბედურებული ოჯახი? ნუთუ კიდევ საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ ეს თანხები ყაირათიანად უნდა ვხარჯოთ და მოვახმაროთ გადაუდებელ, საშურ საქმეებს.

რაც შეეხება ყვარლის სასმელი წყლით მომარაგებას, სასაცილოც არის, ამდენი წყლის რესურსების მქონეს რომ წყალი უჭირდეს. ქალაქის თავში ხუთი-ექვსი ჭაბურღილის დადგმა და ამასთან დურუჯის წყალსაცავის დრენაჟული წყლის გამოყენება ყვარლის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემას მოხსნის, რაც გაცილებით იაფი დაჯდება.

დაადგება საშველი?

ახალგაზრდობის მიგრაციამ სოფლიდან ქალაქში, კუთხეებიდან გულისაკენ, ბოლო წლებში შესამჩნევად ზომებს მიაღწია. ასეთ დენას მოსახლეობისა საფუძველი ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ჩაეყარა და ახლაც "სრული სვლით" მიმდინარეობს. ჯერ ისედაც შემცირებული შობადობის პირობებში მიგრაცია უკიდურესად მძიმე გავლენას ახდენს ჩვენი მხარის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. ბოლო აღწერის მონაცემებით განვლილი ათი წლის მანძილზე ყვარლის რაიონის მოსახლეობა ფაქტიურად არ გაზრდილა და გაყინულია 42.5 ათასზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არა ქართული მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი კატასტროფულად მაღალია და აღნიშნული რიცხვი /42.5 ათასი/ შენარჩუნებულია მათი ზრდის ხარჯზე, ცხადზე უცხადესი ხდება, რომ ჩვენ ერთ დონეზე კი არა ვართ გაყინული, არამედ ვკლებულობთ.

ბუნებრივია ისმის კითხვა-რამ გამოიწვია ეს მოვლენა?

მიგრაციის თავი და თავი უპირველესად სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარების უკიდურესად დაბალ დონეში უნდა ვეძებოთ. ჩვენს ახალგაზრდობას არ გააჩნია სპორტული, კულტურული, გონივრული დასვენებისა და გართობის ცენტრები. თავისუფალი დროის გამოყენების ელემენტარული პირობებიც კი. ადრევე დამკვიდრებული ეს ტრადიცია არც ახლა ე.წ. გარდაქმნისა და საჯაროობის ხანაში შეცვლილა და პრაქტიკულად ახალგაზრდობისათვის სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით არაფერი არ იქმნება.

ავიღოთ სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ყველაზე ლამაზი ხანა 17-18 წელი. ამ ასაკის გოგონები და ბიჭები 1971-1972 წლებში დაიბადნენ და დღეს ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან. სანამ ისინი იზრდებოდნენ, ყვარელში ხელმძღვანელობა, ე.ი. ხელისუფლება და მთავრობა ხუთჯერ შეიცვალა /პარტიის რაიკომის ხუთი მდივანი და ამდენივე აღმასკომის თავჯდომარე?!/ დღეისათვის უკვე მეექვსე მთავრობა მოგვევლინა, მაგრამ ხელმძღვანელთა ასეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით ცვლამ ვერ გამოიწვია უმნიშვნელო სასიკეთო ძვრებიც კი ახალგაზრდობის ცხოვრებაში და დღევანდელი 18 წლის ყმაწვილს თითქმის იგივე გარემოში უხდება ყოფნა, როგორშიც მისი ასაკის ახალგაზრდას 70-იანი წლების დასაწყისში.

ახალგაზრდული პრობლემებისადმი ზერელე, უგულებელ და უნიათო მიდგომის შედეგია, რომ ყვარელში არ გაგვაჩნია კულტურისა და დასვენების პარკი, თანამედროვე კაფე ბარი, დისკოთეკა და ვიდეოთეკა, ახალგაზრდობის სახლი, მარტივი სპორტული მოედნები, კორტები, საცურაო აუზი. სოფლებში ამაზე ოცნებაც ხომ ზედმეტია.

განა რა თანხა დასჭირდებოდა ე.წ. კრიოვის ჭალის კეთილმოწყობას, ანდა რა დაშავდებოდა ყვარლის შემოსასვლელში მდებარე ომიდან მოუსვლელთა სახელობის ტყე-პარკი კულტურისა და დასვენების პარკად რომ გვექცია.

ბოლო წლებში რამდენჯერმე დაისვა საკითხი, რომ "ილიას გორაზე" არსებული საზაფხულო სპორტული მოედნების უმოქმედობის მიზეზი ამ ბაზაზე სასმელი წყლის უქონლობაა. 60-იან წლებში მოწყობილი წყალგაყვანილობის ტრასა დიდი ხანია მწყობრიდან გამოვიდა და შეცვლას მოითხოვს. უწყლობის გამო არ მუშაობს საცურაო აუზი და სპორტული შეჯიბრებისა თუ უბრალოდ გართობისათვის აქ აღარავინ ამოდის, რის გამოც მოედნები გავერანებულია. ნუთუ ასე ძნელი მოსაგვარებელია ეს საქმე?

საქმის რეალურად მოგვარების ნაცვლად კი ხელმძღვანელობამ წყალსადენის აღდგენისა და "ილიას გორის" მეურვეობა კომკავშირის ყვარლის რაიკომს დაავალა, რომელმაც ამ საქმეს მისთვის "ჩვეული პასუხისმგებლობით" მოეკიდა. რაც შეეხება "ილიას გორაზე" არსებულ საბაგირო-გზას, იგი ორ ათეულ წელზე მეტია არ მუშაობს, ხოლო შემდეგ მას პარტიისათვის დამახასიათებელი ბრძნული გადაწყვეტილებით ლიკვიდაცია გაუკეთეს. ასე რომ "ილიას გორა", ეს მშვენიერი ადგილი დღეს ხელმოშვებული და მიტოვებულია.

მეექვსე წელია ყვარლის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ეზოში აწყვია ე.წ. "კარუსელების" მთელი კომპლექტი, რომელთა დამონტაჟება ვერა და ვერ მოხერხდა. თურმე ნუ იტყვით აღმასკომს ადგილი ვერ გამოუნახავს, თუმცა ხელგაშლილი გულუხვობა გამოიჩინეს ხელისუფლებმა, როცა ლეკებს დასჭირდათ მიწა, ჩვენი ბავშვებისათვის კი მთელ ქალაქში ერთი უბრალო, მარტივი გასართობიც კი არ მოიძებნება.

ი. ჭავჭავაძისა და კ. მარჯანიშვილის მუზეუმების მოსასვლელებში მდგარი შენობა 70-იანი წლების დასაწყისში აშენდა ახალგაზრდობის სახლის დანიშნულებით. მაგრამ ახალგაზრდობის თუ პიონერების სახლი, რომლის ეგიდითაც ეს შენობა აღმართეს, მხოლოდ [illegible] გამოდგა. ამ შენობაში დღეს მოთავსებულია მაღაზია, პიონერთა სახლი, მუსიკალური სკოლა, [illegible] ბიურო და ერთ დროს სასადილოც იყო. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არ არის ის, რაც გვჭირდებოდა და რაც უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული საკითხები უაღრესად აწუხებს ახალგაზრდობას და დღეს, როცა ასე ფართო გაქანება მიიღო ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის ძირითად ძალასაც ახალგაზრდობა წარმოადგენს, ყოვლად აღმაშფოთებელია ასეთი უგულო დამოკიდებულება ჩვენი პრობლემებისადმი.

თემური ბეუქლიშვილი

ჩვენთვის მოსულა პირველი სასჯელი!

მოვიდნენ ჯალათნი
და სისხლის წვიმები,
აპრილი შეგვიღებეს წითლად.

სატანის ხარხარით
დაგვიწვეს ნიჩბები
სული აგვიწონეს მისხალ,

მზე რად არ გაშავდა,
ცრემლთა ნაშალთა,
ცა რად არ დაიქცა, მთხარ!,

მოვიდა სიკვდილ-
შავი და მოისხნე,
აპრილი შეგვიღებეს წითლად.

ეს ჯარ სურამხა-
ტრის გაზაფხული
და ეძებს სამშვე სიტყვას.

ლელა ჭურაშვილი
1989 წ. 4.13

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თანაუგრძნობს მისი გამგეობის წევრს გელა ბაჭველაშვილს დედის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედკოლეგია: ალეკო ცუკალაშვილი /ტელ:2-04-59/, ილო ხეროშვილი, ლია მიქიტაშვილი /ტელ:2-20-29/, ლალხაზ ქანდაურიშვილი /ტელ:2-07-23/.
საზოგადოების მისამართი: ყვარელი, ჭავჭავაძის 99. ტ: 2-00-97